

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი
ეროვნული კომისიის (სემეკ)

დადგენილება N 15

2001 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

**”სს ”ეი-ი-ეს თელასის“ სააბონენტო სექტორის მომხმარებლებისათვის
(მოსახლეობისათვის) 1999 წლის 4 იანვრის შემდეგ წარმოქმნილი ვალის
რესტრუქტურისა და წესის“, ”სააბონენტო, საბიუჯეტო და კომერციულ
სექტორში აღურიცხავი ელექტროენერჯის დარიცხვის მეთოდიკისა“ და
”ფიქსირებული გადასახადის მიხედვით ელექტროენერჯის საფასურის
გადახდის წესის“ დამტკიცების შესახებ**

”2001-2002 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის საქართველოს ენერგოსისტემის მომზადების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 26 ნოემბრის N 481 ბრძანებულების, სს ”ეი-ი-ეს თელასის“ მიერ წარმოდგენილი და ქ. თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებული განაცხადის გათვალისწინებით, ”ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე -2 პუნქტის ”ბ“ ქვეპუნქტის, 36-ე მუხლის მე -3 პუნქტის ”ვ“ ქვეპუნქტისა და სემეკის 2001 წლის 20 სექტემბრის N 10 დადგენილებით დამტკიცებული ”ელექტროენერჯის მიწოდების, მომსახურების და მოხმარების პირობების, მე -19 მუხლის საფუძველზე, სემეკმა დაადგინა:

მუხლი 1. ამოღებულია (18.09.2008 N 22).

მუხლი 2. დამტკიცდეს ”სააბონენტო, საბიუჯეტო და კომერციულ სექტორში აღურიცხავი ელექტროენერჯის დარიცხვის მეთოდიკა“.

მუხლი 3. ამოღებულია (18.09.2008 N 22).

მუხლი 4. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

თავმჯდომარე

ელ. ერისთავი

”სს ”ეი-ი-ეს თელასის“ სააბონენტო სექტორის მომხმარებლებისათვის
(მოსახლეობისათვის) 1999 წლის 4 იანვრის შემდეგ წარმოქმნილი ვალის
რესტრუქტურისა და წესი ამოღებულია (18.09.2008 N 22)

სააბონენტო, საბიუჯეტო და კომერციულ სექტორში აღურიცხავი ელექტროენერჯის
დარიცხვის მეთოდიკა

მუხლი 1. ამოღებულია (18.09.2008 N 22).

მუხლი 2. ამოღებულია (18.09.2008 N 22).

მუხლი 3. ამოღებულია (18.09.2008 N 22).

მუხლი 4. ამოღებულია (18.09.2008 N 22).

მუხლი 5. ამოღებულია (18.09.2008 N 22).

მუხლი 6. დარიცხვის მეთოდები

1. ამოღებულია (18.09.2008 N 22).

2. ამოღებულია (18.09.2008 N 22).

3. სააბონენტო სექტორში: (ვრცელდება სს ”თელასის“ იმ საყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე, რომელთა ინდივიდუალური გამრიცხველიანება არ განხორციელებულა ”ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მომხმარებლების წესების“ ამოქმედებამდე) (18.09.2008 N 22)

ა) დარღვევის წინა პერიოდის (როცა აღურიცხვის კვანძი წესრიგში იყო) საშუალო თვიური დარიცხვა თვეების მიხედვით (წინა წლების იგივე თვეში რა იყო მოხმარება, ან ერთი სრული წლის ანალიზის საფუძველზე საშუალო თვიური ხარჯი);

ბ) კვანძის მოწესრიგების შემდგომი დაკვირვების საფუძველზე საშუალო თვიური დარიცხვა (სასურველია 12 თვე, რაც შეიძლება რეალურად რომ განისაზღვროს საშუალო თვიური ხარჯი და გამოირიცხოს სეზონურობის ეფექტი. გარკვეული თანხა ფიქსირებული დარიცხვის საფუძველზე ვალად ფიქსირდება და ექვემდებარება გადახდას, თუმცა დაკვირვების პერიოდის გასვლის შემდეგ მოხდება გადაანგარიშება. თუ აღმოჩნდა, რომ აბონენტმა გადაიხადა მეტი, მაშინ ზედმეტად გადახდილი თანხა გამოყენებული იქნება შემდგომი ანგარიშსწორებისას. თუ ნაკლებია გადახდილი, მაშინ აბონენტი ერთჯერადად ან შეთანხმებული გრაფიკით სრულად იხდის განსხვავებას, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუწყდება ელექტროენერჯის მიწოდება);

გ. დადგმულ ან მუშა სიმძლავრეზე დაყრდნობით (დანართი N 3).

მუხლი 7. ამოღებულია (18.09.2008 N 22).

მუხლი 8. ამოღებულია (18.09.2008 N 22).

მუხლი 9. ამოღებულია (18.09.2008 N 22).

დანართი 1 ამოღებულია (18.09.2008 N 22)

დანართი 2 ამოღებულია (18.09.2008 N 22)

დანართი 3

(ვრცელდება სს “თელასის” იმ საყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე, რომელთა ინდივიდუალური გამრიცხველიანება არ განხორციელებულა “ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მომხმარებლების წესების” ამოქმედებამდე 18.09.2008 N22)

სს “ეი-ი-ეს თელასის“ აბონენტების დენმიმღებების საორიენტაციო სიმძლავრისა და ამ სიმძლავრის გამოყენების საანგარიშო საათების ცხრილი

N	დენმიმღები	დადგმული სიმძლავრე კვტ.	მუშა-საათების რაოდენობა სთ.		ელ.ენერჯის ხარჯი სეზონის მიხედვით კვტსთ.	
			დღე-ღამეში	თვეში	ზამთარი	ზაფხული
1	ტელევიზორი ახალი ძველი	0.07 0.18	4.0 4.0	120 120	8.4 24.0	8.4 24.0
2	მაცივარი ახალი ძველი	0.13 0.2	4.0 4.0	120.0 120.0	15.6 24.0	15.6 24.0
3	სარეცხი მანქანა წყლის გამაცხ. გარეშე	0.2	0.2	6.0	1.2	1.2
4	სარეცხი მანქანა წყლის გამაცხ-ით	2.5	0.2	6.0	15.0	15.0
5	ელექტროქურა გადასატანი	3.0	2.0	60	180.0	180.0
	ელექტროქურა	1.0	2.0	60	60.0	60.0
6	ელექტროსადუღარი	1.0	0.1	3.0	3.0	3.0
7	ელექტროუთო	1.0	0.1	3.0	3.0	3.0
8	მცირე მოხმ. ხელსაწყოები	0.5	0.15	9.0	4.5	4.5
9	წყლის გამაცხ. ”არისტონი“	2.0	3.0/2.0	90/60	180	120
10	წყლის გამაცხელებელი ”ატმორი“	5.0	1.0/0.8	30/24	150	120
11	კონდიციონერი ”ზაფხულის“	1.0	3.0	90	-	90.0
	”ზაფხულ-ზამთრის“	1.5	3.0	90	145.0	145.0
12	განათება 100 ვტ.	0.1	5.0	150	15.0	15.0
13	ელექტრორადიატორი	1.5	6.0	180.0	270.0	-
14	ვენტილატორი	0.5	2.0	60	-	30

მომხმარებელთა იმ კატეგორიასთან, რომელსაც მოწესრიგებული არა აქვს ელექტროენერჯის აღრიცხვა, თვიური ანგარიშსწორებისას პირობითად აღებული იქნეს შემდეგი სიდიდეები:

ა) ზამთრის სეზონზე (ნოემბერი-მარტი):

ერთოთახიან ბინებში – 160 კვტსთ;

ოროთახიან ბინებში – 250 კვტსთ;

სამოთახიან ბინებში – 300 კვტსთ;

ოთხოთახიან ბინებში – 380 კვტსთ;

ბ) ზაფხულის სეზონზე (აპრილი-ოქტომბერი):

ერთოთახიან ბინებში – 110 კვტსთ;

ოროთახიან ბინებში – 180 კვტსთ;

სამოთახიან ბინებში – 240 კვტსთ;

ოთხოთახიან ბინებში – 300 კვტსთ.

ფიქსირებული გადასახადის მიხედვით ელექტროენერჯის საფასურის გადახდის წესი

(იურიდიულად ძალადაკარგულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის N 1/3/136 გადაწყვეტილებით)